

ქართველთა ერის მოდგმის გაუმჯობესობა

1902 წელი

“დედა ნახე, მამა ნახე,

შვილი ისე გამოჩაბე“

ხალხური ანდაზა

წინა წერილში ჩვენ გაკვრით შევეხეთ ქართველთა რასის, მოდგმის და თესლის გაუკეთესობას. ამჟამად, გვწადიან უფრო მეტს დროს შევაჩეროთ მკითხველების ყურადღება ამ საგანზე.

საზოგადოდ, რასის გაუმჯობესობისათვის საუკეთესო ღონისძიებად ითვლება სისხლის განახლება. ხოლო სისხლის განახლებისათვის საჭიროა ხშირი დამოყვრება, შეუღლება ერთის ერის შვილებისა სხვა ერების შვილებთან. მაგრამ, ყოველს სისხლის ცვლილებსა როდი მოსდევს გაუკეთესობა მოდგმისა, ეროვნებისა. ეს გაუკეთესობა მხოლოდ მაშინ ჰხდება, როდესაც ერთის მაღლის თესლის ერის სისხლი ერევა მეორე მაღლის თესლის ერის სისხლში. პირიქით, თუ მხოლოდ ერთი მეუღლეთაგანი ეკუთვნის მაღალს რასას და მეორე კი საშუალო მოდგმის ხალხსა, ჩამომავლობა მათი დაბლა იდგება პირველს ერზე და ცოტა მაღლა მეორეზე, და მაშასადამე, გაუმჯობესობა რასისა ვერ მოხდება. უფრო უარესი შედეგი მოსდევს, როდესაც მაღლის რასის შვილი ქორწინდება სრულად დაბალი რასის შვილზე. ამ შემთხვევაში დამოყვრება, ქორწინება უნაყოფო გამოდის, მეუღლენი უშვილოდ გადაეგებიან ხოლმე. ექიმი პანტიუხოვი ერთს თავის გამოკვლევაში ამბობს, რომ როცა ქართველი ქალები შუა საუკუნოებში მისთხოვდებოდნენ ხოლმე მამელიუკებს, დაბალი მოდგმის ხალხსაო, ქორწინება უნაყოფოდ რჩებოდაო, მაშინ როდესაც ევროპიელებთან დაქორწინებას ქართველის ქალებისას მოსდევდა და მოსდევს სიმრავლე ჩამომავლობისაო...

თუ რომელიმე ერი ერთგვარია და ერთფეროვანი, მაშინ მისი სისხლის განახლება შეიძლება ქორწინების გახშირებითა სხვა ჩამომავლობის ერებთან. გარნა, თუ ერი შესდგება სხვადასხვა ფერის თემებიდან, სისხლის განახლება ადვილად შეძლება მოხდეს ამ თემების ერთმანეთთან დამოყვრებით, დაქორწინებით.

ჩვენ, ქართველები, ამ უკანასკნელ ერთა რიგს ვეკუთვნით. მრავალფეროვანმა ბუნებამ საქართველოსამ სხვადასხვა ფერი დასდო სხვადასხვა კუთხის ქართველებსა, სხვადასხვა აგებულობა მიაჩნა. ამას დაეხმარა ის გარემოებაც, რომ თითქმის ყოველს შტოს ქართველთა ერისას მეზობლად ჰყავდნენ სხვადასხვა ჩამომავლობის ერნი და ამ ერთა გავლენამ განაძლიერა განსხვავება ქართველთა შორის.

მართლა და ქართველ თემთა შორის ისეთი დიდი განსხვავებაა ფიზიკური და ფსიქიკური, რომ კაცს ეგონება - სხვადასხვა ჩამომავლობის ერთ ეკუთვნიანო. ეს განსხვავება მეტადრე

ცხადია და აშკარა იმერთა და ამერთა შორის. თვით იმერნიც დიდად განირჩევიან ერთმანეთისაგან ხასიათით, ნიჭით, შეხედულობით, ტემპერამენტით, ზნე-ჩვეულებით. გურული ბევრით არა ჰგავს არც მეგრელსა, არც იმერელსა და არც მეტადრე რაჭველსა. ეს უკანასკნელნიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან.

ერთი სიტყვით, თვითეული ქართველი თემი წარმოადგენს თავისებურს ნაწილს სხვადასხვა ფეროვანის ერთეულობისას. ამ მხრივ საქართველო გვაგონებს ძველს საბერძნეთს, სადაც თემები იმდენად განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, რომ კაცს სპარტელები და ათინელები, მაგალითად, სხვადასხვა თესლის ხალხი ეგონებოდა. ამისთანავე მაგალითს წარმოადგენს შუა საუკუნოების ტალია.

მაშასადამე, ხშირი დამოყვრება და დაქორწინება სხვადასხვა კუთხის ქართველთა შორის უნდა ძლიერ დაეხმაროს ჩვენის რასის გაუმჯობესობას.

ახლა ვიკითხოთ: ამ დედუქტიურს დასკვნას ამართლებენ თუ არა ნამდვილი, ჭეშმარიტი ფაქტები?

დიაღ, ამართლებენ.

თუ გამოვიძიებთ ჩვენის სახელოვანი მოღვაწეების ჩამომავლობას, აღმოჩნდება, რომ ესენი თითქმის ყველანი შერეული სისხლისანი იყვნენ და არიან, დედით ეკუთვნოდნენ ერთს ჩვენს თემსა, ხოლო მამით მეორე თემსა.

დავიწყით აღმოსავლეთიდგან. გიორგი ბრწყინვალე დედით ეკუთვნოდა ჯავახეთს, მამით ქართლს; გმირთა გმირი ერეკლე დედით იყო ქართლელი, მამით - კახელი. უძლიერესი ჩვენი პოეტი ნიკ. ბარათაშვილი მამით ეკუთვნოდა ჯავახეთის მხარეს, დედით ქართლსა. უტკბესი მგოსანი რაფიელ ერისთავი დედით ქართლელი იყო, მამით კახელი. ჩვენი ისტორიკოსები: დიმიტრი ბაქრაძე და პლატონ იოსელიანი, ჩვენი პროფესორები: პეტრიაშვილი და ცაგარელი, თუმცა ქართლსა და კახეთში დაიბადნენ და დედით ამიერნი იყვნენ; მაგრამ მათი მამები პატარაობისასვე გადმოსახლებულან ქართ-კახეთში მესხეთიდან და დასავლეთის საქართველოდგან და, მაშასადამე, ამ მოღვაწეთა ძარღვებში სდიოდა და სდის ამერ-იმერული სისხლი. ამისთანავე შერეული სისხლი სჩქეფდა მარად დაუვიწყარ დიმიტრი ყიფიანის გვამში, რომელიც მამით იყო იმერი, დედით ამერი.

დასავლეთის საქართველომ ჩვენს დროში გამოიყვანა ორი მაღალნიჭიერი ქართველი: აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე. ესენიც შერეული სისხლის ნაყოფნი არიან. აკაკი წერეთელი დედის მხრით გურულია, მამით იმერელი. ნიკოლაძე მამის მხრით ქართლელია, დედით იმერელი.

აგრეთვე ფრიად ჩინებული ნაყოფი მოჰქონდა და მოაქვს ქართლელების დამოყვრებას სხვა მაღალი რასის ხალხებთან. სულით და ხორციით უძლიერესი მეფის დავით აღმაშენებლის მამა იყო ქართველი, დედა - ასული ჩრდილო კავკასიისა. განხორციელებული სისრულე და სიმშვენიერე სულისა და ხორცისა თამარ მეფე წარმოსდგა ქართველის მამისგან და ოსთა მბრძანებლის ქალისაგან, - თუმცა ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ოსთა მბრძანებლების გვარეულობა ძველის დროიდგანვე ემოყვრებოდა ბაგრატიონთა გვარეულობასა და ამის გამო

მისი შვილების მარღვებში სდიოდა შერეული ოსურ-ქართული სისხლი ასე, რომ თამარ მეფის სისხლი ბევრ წილად ქართული იყო და ნაკლებ წილად ოსური.

ჩინებული შედეგი მოსდევს აგრეთვე ქართველთა და სომეხთა დამოყვრებას ამგვარმა დამოყვრებამ აჩუქა საქართველოს ჩვენს დროში მალღნიჭიერი თავ. ილია ჭავჭავაძე და პროფესორი თარხნიშვილი, თუმცა აქაც საჭიროა შევნიშნოთ, რომ ერთის დედაც და მეორისაც სრულად გაქართველებულნი იყვნენ, როდესაც მისთხოვდნენ ქართველ თავადიშვილებსა.

პროგრესული განახლება სისხლისა ქართველებში მოსდევს აგრეთვე დამოყვრებას სლავიანებთანა. ამგვარის დამოყვრების ნაყოფია, სხვათა შორის, ჩვენი სახელოვანი მსახიობი ვასილ აბაშიძე, რომლის დედა მცირე რუსეთის ასული იყო. ამავე ჯგუფში ვხედავთ ნიჭიერს მოღვაწეებს გრიგოლ ვოლსკის და ზდანოვჩს, რომელნიც დედით ქართველნი არიან და მამით ეკუთვნიან სლავიანებსა...

დამოყვრება ქართველებისა ევროპიელებთან დიდად ეხმარება ქართველის რასის გაუმჯობესობას. ამისი უტყუარი საბუთი არის, სხვათა შორის, პროფესორი მარი, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში დაიმსახურა ფრიად ნიჭიერი სწავლულის სახელი. ეს სწავლული, როგორც მკითხველს მოეხსენება, დედით არის გურული და მამით შოტლანდიელი კელტი.

თუმცა თვითონ მკითხველიც ადვილად გამოიყვანს ამ უტყუარ ფაქტებიდგან საჭირო დასკვნას და სახელმძღვანელო მოძღვრებასა, მაგრამ ჩვენ იქნება კიდევ დავუბრუნდეთ ამ ფრიად საყურადღებო საკითხსა.